კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. | რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . 10 კაპ. | ადრესი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

წელიწადი მეორე

1910 წელიწადი.—14 ივნისი.—№ 12.

შინაარსი

ვ. რცხილაძე . . . . . კანონი 3
ნ. გულბაათიშვილი . . . ნიადაგი 10
კ. გვარამაძე . . . . . წერილი სამესხეთოდან 14

საყურადღებო ცნობები:

განავთიანებული ჭურჭლის გაწმენდა 15
დაჟანგებული დანა-ჩანგლივ გაწმენდა 15
მელნის ლაქის ამოყვანა ტილოდან 16

განცხადებანი 16

ტფილისი, ედექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომტ. ქართ. ამხ—სა, 1910 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:— პ. ავერკინისა, ი. აფხაზ..სა, აგრიკოლასი, ვ. ახოშვილისა, ვ. ახ..ლაძესი ლ. გოგნიევისა, ვ. გულბაათიშვილისა, ღ. გორთამაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელეესი, ზ. ეღილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამამშვილისა, ე. იოსელიანისა, ღ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძესი, დ. მღივანისა, ს. მგალობლიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. მჭედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ტ. ნ., ი. პაატაშვილისა, ვ. რცხილაძესი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნატოვისა, ვ. შ—ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორჯაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს **კოლეგია**, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოთა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირისპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან: გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ღამბაშიძე ვ., აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქცამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

შესახებ ფილოქსერისა და ვენახების ყველა სხვა დამაზარალებელ სენთა წინააღმდეგ ბრძოლისა

მიღებული სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროსაგან და დამტკიცებული **ხელმწიფე იმპერატორისაგან** 21 აპრილს 1910 წელს.

თავი I.

I ნაცვლად არსებული სასოფლო-სამეურნეო წესდების მუხლებისა (კრ. კან. ტ. XII, ნაწ. 2., გამ. 1903 წ. და შემდეგ გაგრძ. 1906 წ. და 1908 წ.) და სხვა კანონმდებლობისა მაგიერ მიღებულ იქმნას:

1. საზოგადო გამგებლობა ვაზის სატკივართა წინააღმდეგ ზომების მიღებაში და აგრედვე მევენახეობისა და მეღვინეობის მიმართ ყოველგვარ დახმარების აღმოჩენაში სავენახე რაიონებში გარდაეცემა მიწათ-მოწყობის და მიწათ-მოქმედების მთავარ სამართველოს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს.

შენიშვნა. სავენახე რაიონებათ ითვლებიან გუბერნიები: ბესარაბიისა, პოდოლსკისა, ხერსონისა, ეკატერინოსლავისა, თავრიზისა, ასტრახანისა და სტავროპოლისა; ოლქები: დონისა, ურალისა, ზაკასპიისა, სირ-დარიისა, ფერგანისა და სამარკანდისა და კავკასია.

2. სავენახე რაიონებში, სადაც ეროზია არსებობს, 1 მუხლით განსაზღვრული ზომების მიღება გარდაეცემა საერობო დაწესებულებებს, თუ ეს უკანასკნელნი მოისურვებენ. ამ შემთხვევაში საერობო დაწესებულებანი ნაკისრებ მოვალეობის ასასრულებლად აარსებენ მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებს: საგუბერნიოს, საოლქოს და სამაზროს.

საგუბერნიო და საოლქო კომიტეტები არსდებიან თანახმად გუბერნიის საერობო კრებულის დადგენილებისა. თითოეული საოლქო კომიტეტი მოქმედობს ერთდაიგივე გუბერნიის ორს ან ორზე მეტ მაზრაში. სამაზრო კომიტეტები არსდებიან მაზრების საერობო კრებულთა დადგენილებებით თანახმად გუბერნიის საერობო კრებულის გარდაწყვეტილებისა. გუბერნიისა და მაზრების საერობო კრებულთა დადგენილებანი შესახებ ამისა გარდაეცემიან გუბერნატორს მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარმართველის წინაშე წარსადგენად, რომელიც ამ დადგენილებებს წარუდგენს სენატს საჯაროდ გამოსაცხადებლად.

3. ზემო აღნიშნულ (მუხ. 2) კომიტეტებში ითვლება იმდენ-იმდენი წევრი, რამდენსაც საერობო კრება დაადგენს. კომიტეტი შესდგება იმ პირთაგან, რომელთაც საერობო კრება აარჩევს თავის წევრთა შორის, სასოფლო-სამეურნეო და საბალოსნო წარმომადგენელთაგან, რომელთაც ეს საზოგადოებანი არჩევენ და ადგილობრივი ბალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენახების პატრონთაგან, რომელთაც საერობო კრება მოიწვევს. ამათ გარდა კომიტეტში შედიან წევრებათ ის პირნი, რომელთაც დანიშნავენ მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი და შინაგან საქმეთა მინისტრი თავთავიანთ საგამგებლო დაწესებულებების წარმომადგენლებათ.

კომიტეტის თავმჯდომარეს საერობო კრება არჩევს.

4. სავენახე რაიონებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული, და აგრედვე იქ სადაც ერობა თუმცა არის, მაგრამ საერობო კრებამ არ იკისრა 2 მუხლით განსაზღვრული მოვალეობანი, მევენახე-მეღვინეთა კომიტეტები არსდებიან თანახმად იმ განკარგულებისა, რომელსაც მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი მოახდენს. ეს კომიტეტები, რომელთ თავმჯდომარეებს იგი მთავარი მართველი ნიშნავს, შესდგებიან: მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების სამართველო დაწესებულებათა და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ნიშნავენ ამ ორივე გვარი დაწესებულებათა უფროსნი; საერობო ადგილობრივ დაწესებულებათა ‌ᲡᲐ სასოფლო-სამეურნეო საბაღოსნო საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან, რომელთაც თვით ეს დაწესებულებანი და საზოგადოებანი არჩევენ, ხოლო რიცხვით იმდენს, რამდენსაც მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი დაინახავს საჭიროდ, და იმ პირთაგან ადგილობრივ ბაღ-ვენახების მფლობელთა შორის, რომელთაც იგივე მთავარი მართველი აარჩევს.

თითოეული კომიტეტის შემადგენელ წევრთა რიცხვის განსაზღვრა და აგრედვე განსაზღვრა კომიტეტის სამოქმედო რაიონისა მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს აქვს მინიჭებული, ხოლო ერთის იმ პირობით რომ ადგილობრივ საზოგადოებათა და საზოგადო დაწესებულებათა და ბაღ-ვენახების მფლობელთა წარმომადგენელნი ერთად კომიტეტის საერთო წევრთა რიცხვში ნახევარზე ნაკლებს არ შეადგენდნენ. იგივე მთავარი მართველი განსაზღვრის რამდენი წევრი უნდა დაესწროს კომიტეტის კრებას, რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს.

შენიშვნა: კავკასიის გუბერნიებში და ოლქებში მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებს აარსებს ამ მუხლში აღნიშნულ საფუძვლებზე მიწათ-მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი კავკასიის ნამესნიკთან შეთანხმებით.

5. მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებს (მუხ. 2 და 4) აქვთ უფლება მიიწვიონ თავიანთ კრებებზე სხვადასხვა კითხვების გარდაწყვეტის დროს რჩევის მისაცემათ ის გარეშე პირნი, რომელთაც ამ მიზნით თვით კომიტეტი იცნობს სასარგებლოთ. მიწვეული გარეშე პირნი ხმის ჩამოტარებაში მონაწილეობას არ ღებულობენ.

6. სავენახე რაიონების (მუხ. 1, შენიშ.) გარეშე ადგილებში საზოგადო ხელმძღვანელობაც და პირდაპირი გამგებლობაც ბაღ-ვენახების დამაზარალებელ სატკივარ სენთა წინააღმდეგ ზომების მიღებაში და ბრძოლაში მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს მიენდობა მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების სამართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ყოველივე ზომის მიღება ფილოქსერის და ვაზის ყველა სხვა დამაზარალებელ სენთა აღმოჩენაში და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებზე (მუხ. 2 და 4) არის დავალებული.

8. მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებს (მუხ. 2 და 4) ეძლევათ უფლება თავისით დანიშნულ კაცებს გააჩხრეკინონ: 1) ვენახები ფილოქსერისა და სხვა მაზარალებელ სენთა აღმოსაჩენად, 2) საბაღოსნო დაწესებულებანი, რომელნიც მცენარეებით ვაჭრობენ დასარწმუნებლად რომ ამ დაწესებულებებში ვაზები არა აქვთ და არც ფილოქსერა და სხვა ისეთი რამ მაზარალებელი სენია, რომელიც ვენახებს შეიძლება გადაედოს, და 3) სხვაგნიდან გამოწერილი მცენარენი ან მათი ნაწილები, რომელნიც ისეთ ადგილებში უნდა მიიტანონ, სადაც საზოგადოდ მცენარეების შეტანა ნებადაურთველად აკრძალულია.

9. კომიტეტს შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახა, განაჩენი შეადგინოს როგორადაც ფილოქსერით დაავადებულ ვენახის ისე მის მეზობლად მდებარე ვენახების, ცალკე ვაზების ან სხვა რომელიმე მდგარი ვენახში ან ბაღში მცენარეების ამოგდებისა და მოსპობის შესახებ. შემდგარი განაჩენის პირი უნდა გაეგზავნოს მამულის პატრონს, რომელსაც ეძლევა უფლება განაჩენის მიღების დღეიდან ერთი თვის განმავლობაში საჩივარი აღძრას მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველის წინაშე. ეს საჩივარი უნდა წარდგენილ იქმნეს მევენახე-მეღვინეთა კომიტეტში, რომელსაც უჩივიან, და კომიტეტი მოვალეა საჩივრის მიღების დღეიდან ორი კვირის განმავლობაში თავის მოხსენებასთან ერთად წარუდგინოს იგი მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს განსახილველად. მთავარ მართველს შეუძლიან, თუ საჩივარი საფუძვლიანად იცნო, კომიტეტის დადგენილება გააუქმოს ან შესაფერად შეცვალოს.

10. ყველა სავენახე რაიონები ფილოქსერის მხრივ ორ რიგათ იყოფიან: **საღი** ანუ **უშიშარი** მდგორეობის რაიონი და **დაავადებული** ანუ **საშიშარი** მდგომარეობის რაიონი. საღ რაიონათ ითვლება ის, სადაც ფილოქსერა არ არის აღმოჩენილი, დაავადებულათ—სადაც ფილოქსერა უკვე ნაპოვნია. დაავადებული რაიონებიც იყოფიან ორ რიგათ: ა) **საიმედო რაიონი** და ბ) **უიმედო**. საიმედო რაიონათ ითვლება ისეთი დაავადებული ფილოქსერისაგან რაიონი, სადაც ვენახების გადარჩენა კიდევ შეიძლება სხვადასხვა ზომების ხმარებით უიმედო რაიონათ კიდე ითვლება ისეთი, რომლის გადარჩენა ფილოქსერისაგან აღარასგზით აღარ შეიძლება და ყოველი ზრუნვა ამ აზრით ამაო იქნება.

11. საშიშარი და უშიშარი მდგომარეობის რაიონების ერთი ერთმანეთისაგან გამოცალკევება და აგრედვე საშიშარი ადგილების საიმედო და უიმედო ნაწილების განსაზღვრა-გაცალკევება ადგილობრივ კომიტეტებზეა დამოკიდებული. ხოლო კომიტეტის ყოველი დადგენილება ასეთის გაცალკევების შესახებ უნდა წარდგენილ იქმნეს დასამტკიცებლად მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საშიშარ მდგომარეობაში ყოფილ ადგილებიდან უშიშარ მდგომარეობის ადგილებში და აგრედვე საშიშარ მდგომარეობის უიმედო ადგილიდან საიმედო ადგილში გადატანა ორი წლის ნახარები ნამყენებისა და რქებისა ან ამაზე უფრო მეტი ხნის ვაზის ნაწილებისა და აგრედვე ჭიგოს, სარის და სხვადასხვა იარაღების გადატანა აკრძალულია. ხოლო სხვა მცენარეების გამოტანა და აგრედვე ერთი წლის ვაზის რქების გამოტანა შეიძლება, თუ კომიტეტისაგან ან მის წარმომადგენლისაგან მიიღებენ მოწმობას, რომ ხსენებულ მცენარეების და იარაღების გადატანით ფილოქსერის გავრცელების არავითარი შიში არ იქნება.

13. იმ ადგილებში, სადაც ფილოქსერა ისე ძალიანა არის მოდებული, რომ აღარა ეშველება რა და ამისა გამო ადგილის დაცვას აზრი აღარა აქვს, ვაზის ნამყენების და რქების (მუხ. 12) წაღებ-წამოღების აკრძალვაც მეტი იქნება. ხოლო ის ადგილები კი, სადაც ფილოქსერა არის, მაგრამ ჯერ კიდევ იმედია მის მოსპობა, დაცულნი უნდა იყვნენ და ნამყენების, რქების და ვაზის ყველა სხვა ნაწილების და აგრედვე ჭიგოსა და ვენახში სახმარებელი იარაღების წაღებ-წამოღება უნდა აიკრძალოს.

14. დაცულ ადგილებში ნამყენების, რქის და ვაზის სხვა ნაწილების წაღებ-წამოღება შეიძლება მხოლოდ იმ წესის თანახმად, რომელსაც კომიტეტი შეიმუშავებს და გამოაცხადებს.

15. მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს შეუძლიან თანახმად კომიტეტების მოხსენებისა აკრძალოს წაღებ-წამოღება იმ საგნებისა, რომელნიც 14 მუხლში არიან მოხსენებულნი და აგრედვე ყურძნის და მტევნის ყველა სხვა ნაწილების გადატანა ერთი საღი რაიონიდან, მეორე საღ რაიონში და აგრედვე ფილოქსერით დაავადებულ, მაგრამ ჯერ კიდევ საიმედო, დაცულ ადგილში.

16. დაცულ ადგილში კომიტეტებს შეუძლიანთ აკრძალონ დროებით—გარდაწყვეტილი ხნით—იმ ვენახებში, სადაც ფილოქსერას სპობენ ან სპობდნენ, ვაზისა და სხვა მცენარეების დარგვა-დამუშავება.

ამგვარ ვენახის ახლოს—განსაზღვრულ კომიტეტისაგან მანძილზე—კომიტეტს შეუძლიან აკრძალოს ნიადაგის დამუშავება, საქონლის საძოვარზე გაშვება, ახალი ვენახის გაშენება, ერთი მამულიდან მეორეში სამუშაო იარაღების შეტან-გატანა.

17. მცენარეები და მათი ნაწილები და აგრედვე სხვა საგნები, ისეთი საგნების გარდა, რომელნიც არ იწვიან, რომელთ წაღებ-წამოღება აკრძალულია (მუხ. 12—16), თუ მოასწრეს მათ გატანაში ნებადაურთველად, უნდა წაერთვას და დაიწვას. ლითონებსა და სხვა საგნებს, რომელნიც არ იწვიან, დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს პატრონის ხარჯზე და ისე დაებრუნოს პატრონს.

18. კომიტეტები და მათ მიერ დანიშნული პირნი და აგრედვე პოლიცია მოვალენი არიან თვალყური ადევნონ, რომ ფილოქსერისა და ვაზის სხვა სატკივარ სენთა წინააღმდეგ ბრძოლა წესიერად მიმდინარეობდეს. ადგილობრივ პოლიციის მოსამსახურე პირნი კომიტეტების პირველსავე მოთხოვნით მოვალენი არიან ყოველი ღონისძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხმარონ, რომ კომიტეტების განკარგულებანი დაუყონებლივ სრულდებოდნენ. სავალდებულო დადგენილებების დარღვევისათვის დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა და სასამართლოს წინაშე დანაშაულის დამოწმება როგორც პოლიციის ისე ადგილობრივი კომიტეტების და მათ წარმომადგენლების მოვალეობას შეადგენს.

19. კომიტეტების მიერ 7,14,16 მუხლების ძალით მიღებული სავალდებულო დადგენილებანი წარედგინებიან გუბერნატორს, რომელიც თუ ამ დადგენილებების გამოაცხადების წინააღმდეგ მიზეზს არას მოიტანს, გამოაცხადებს მათ საქვეყნოდ თანახმად საზოგადო საგუბერნიო დაწესებულების 424 მუხლისა.

თუ გუბერნატორმა ვერ სცნო შესაძლებლად ამ სავალდებულო დადგენილებების გამოცხადება, წარადგენს მათ მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მმართველის წინაშე, რომელზედაც იქნება დამოკიდებული დართოს ნება მათ გამოქვეყნებაზე თუ არა.

20. საჩივარი წინააღმდეგ კომიტეტისაგან შემუშავებულ სავალდებულო დადგენილებისა წარედგინება მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს დადგენილების გამოცხადების დღეიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ დადგენილება იგი გამოცხადებული იყო საჯაროდ, და თუ გამოცხადებული არ ყოფილა, მაშინ ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც განკარგულება ან დადგენილება იგი სისრულეში იყო მოყვანილი.

21. მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ-მართველის განკარგულებანი და დადგენილებანი 4 და 15 მუხლების ძალით და აგრედვე მის მიერ დამტკიცებული მუვენახე-მეღვინეთა კომიტეტების დადგენილებანი მე-11 მუხლში მოხსენებულ საგნების შესახებ უნდა გამოცხადებული იყვნენ საქვეყნოდ სენატის საშუალებით.

თავი II

ნაცვლად, შესავსებათ ან შესაცვლელად საბაჟო (ტამოჟნის) წესდების 135 და 786 მუხლებისა (კრ. კან., ტ-VI, გამ. 1904 წ.), მაგიერ 62 და 232 მუხლებისა მათი შენიშვნებითურთ საზოგადო საბაჟო ტარიფის შესახებ დებულებისა ევროპიელ სახელმწიფოებთან ვაჭრობაში (კრ. კან., ტომი VI, გამოც. 1906 წ.) და სხვა ამგვარ კანონმდებლობათა შესახებ დადგენილ იქმნეს:

1. ცოცხალი მცენარეების შემოტანა რუსეთში ვაზის გარდა ევროპის ყველა კუთხეებიდან შეიძლება და აგრედვე იმ ქვეყნებიდანაც, რომელნიც თუმცა ევროპას არ ეკუთვნიან, მაგრამ იქიდან შემოტანას შესაძლებელად იცნობენ მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი და ფინანსთა მინისტრი. მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს, თუ საჭირო იქნება, შეუძლიან მოითხოვოს, რომ საზღვარ გარეთიდან მოსულ მცენარეებს დეზინფექცია გაუკეთონ, აგრედვე უჩვენონს სად უნდა მოხდეს ეს დეზინფექცია და რა წესით.

შენიშვნა: ცოცხალ მცენარეებს ეკუთვნიან მთელი მცენარე და მისი ნაწილებიც და აგრედვე სანერგეთ აჭრილი ღეროები და ტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები. არ ჩაითვლებიან ცოცხალ მცენარეებათ შეფოთლილი ტოტები, ფოთლები და ყვავილები და აგრედვე ნაყოფად გარდაქცეული მცენარის ძირები მიწა მოშორებული და გასუფთავებულნი.

2. საზღვარ გარეთიდან მოტანილ მცენარეებს უნდა საიდამაც არიან გამოგზავნილნი, იქაურ ადგილობრივ მართველობისაგან ან საფილოქსერო დაწესებულებისაგან, მოწმობა ჰქონდეთ გამოყოლებული დასამოწმებლად:

ა) რომ გამოგზავნილი მცენარენი იგზავნებიან შემოლობილი ადგილიდან, რომელიც ვაზებიან ადგილიდან არანაკლებ ოც მეტრზეა დაშორებულა ან და ამ ვაზებიან ადგილიდან ისეა მოშორებული, რომ ადგილობრივი სამართველოს დაწესებულების აზრით ფილოქსერა ამ ვაზებიდან ვერას გზით ვერ გადავიდოდა იმ ადგილზე, საიდანაც მცენარეებია გამოგზავნილი;

ბ) რომ იმ ადგილზე, საიდანაც მცენარეებია აღებული, ვაზი არა დგა;

გ) რომ იქ არც საწყობია ვაზებისა ან ვაზის რქებისა გამართული, და

დ) რომ თუ იმ ადგილზე, საიდანაც მცენარენი იგზავნებიან, წინად ოდესმე ყოფილა ფილოქსერით დაავადებული ვაზები, ძირიან-ფესვიანათ ამოუღიათ, ნიადაგი მოუწამლავთ და შემდეგ სამი წლის განვავლობაში უშინჯიათ და დარწმუნებულან რომ ნიადაგში აღარც ფესვებია ვაზისა ჩარჩენილი და ფილოქსერაც სრულებით გამქრალა.

3. მცენარეების გამომგზავნისაგან მის მიერ ხელ მოწერილ და მცენარეებთან ერთად გამოყოლებულ ქაღალდში (მუხ. 2) უნდა იყოს აღნიშნული:

ა) რომ რაც გამოგზავნილია, ყველაფერს თავის მამულიდან ან სამრეწველოდან გზავნის,

ბ) სად გზავნის და ვის სახელზე,

გ) უნდა მოწმობდეს, რომ გამოგზავნილ საქონელში ვაზი არ ურევია,

დ) რომ გამოგზავნილ საქონელში მიწაგაუშორებელი მცენარეები არ არის გარეული.

4. ცოცხალ მცენარეების გამოსაგზავნათ იმ ადგილებიდან საზღვარ გარეთ, რომელნიც ევროპას არ ეკუთვნიან, თან გამოსაყოლებელი მოწმობა უნდა რუსეთის **იმპერატორის** კონსულიდან იყოს მიღებული.

5. მცენარეების გადასატანად ერთი ნავთსადგურიდან მეორეში, როდესაც ორივე ნავთსადგურნი რუსეთში არიან ხოლო ერთი ერთ ზღვაზეა, მეორე—მეორეზე პირველისაგან ხმელეთით მოშორებული, საგზაო მოწმობას (მუხ. 2) იძლევიან ადგილობრივი კომიტეტები ან და მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების სამართველოს ადგილობრივი დაწესებულებანი (განყ. I, მუხ. 6.)

6. **საიმპერატორო** ბოტანიკურ ბაღს ქ. პეტერბურგში, უნივერსიტეტებს და აგრედვე მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველის ნების დართვით სხვა სასწავლებლებსაც და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს ცოცხალი მცენარეების გამოწერა და მიღება უმოწმობოთ (მუხ. 2) შეუძლიანთ ყველა ადგილებიდან საზღვარ გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. შემოტანა რუსეთში ვაზის რქებისა და ნამყენებისა საზღვარ გარეთიდან უნდა ხდებოდეს მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველისაგან ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით დანიშნულ საბაჟოებზე (ტამოჟნებზე) გამოტარებით, ადგილობრივი კომიტეტების ნების დართვით, სადაც ეს კომიტეტები არსებობენ, და სადაც არა, იქ მიწათ მოწყობისა და მიწათ მოქმედების სამართველოს ადგილობრივ დაწესებულებათა ნების დართვით. ამ დაწესებულებებსვე მიენდობა, თუ საჭიროებამ მოითხოვა, გზით მოსულ საქონელზე დიზინფექციის გაკეთებაც. მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს შეუძლიან თანახმად კომიტეტების მოხსენებისა აკრძალოს ვაზის ნერგებისა და მისი ნაყოფის და სხვა ნაწილების შემოტანა საზღვარ გარეთიდან იმ რაიონებში, რომელნიც საღ რაიონებათ ითვლებიან და აგრედვე იმ რაიონებში, სადაც ფილოქსერა თუმცა არის გაჩენილი, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება ამ რაიონის განთავისუფლება ფილოქსერისაგან, თუ წესიერად შევებრძოლეთ.

8. ფილოქსერიან ადგილებში, რომელთ დაცვას აზრი აღარა აქვს, შემოტანა ცოცხალი მცენარეების და მათ შორის ვაზის რქებისაც და ნამყენებისაც ყველა იმ ქვეყნებიდან შეიძლება უმოწმობოთ ფილოქსერის შესახებ, რომლებიდანაც ნებადართულია საზოგადოდ მცენარეების გამოწერა, ხოლო იმ საბაჟოებზე გამოტარებით კი, რომელთაც დანიშნავენ მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი და ფინანსთა მინისტრი ერთიერთმანეთთან შეთანხმებით.

9. განკარგულებანი და დადგენილებანი, რომელთაც მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი მოახდენს 1, 7 და 8 მუხლების თანახმად, უნდა გამოცხადებული იქმნენ საჯაროდ სენატის საშუალებით.

თავი III

ზემოხსენებული დადგენილებანი (იხ. თავი I და II) ამ კანონის დამტკიცების დღეიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა შევიდნენ ძალაში და სავალდებულო გახდნენ თანახმად მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველის განკარგულებისა, რომელიც უნდა გამოცხადებულ იქმნეს საჯაროდ სენატის საშუალებით.

თავმჯდომარე სახელმწიფო საბჭოსი (ხელს აწერს) მ. აკიმოვი.

თუ ჩაუკვირდები, მკითხველო, ამ ახალ კანონს, ადვილად შეამჩნევ, რომ ბევრი რამ არის მასში გამოურკვეველი, ბევრნაირად არის იგი ნაწვალები, მაგრამ მაინცა და მაინც პირი ხალხისაკენ აქვს მიქცეული. სამეურნეო საქმეებში თადარიგის მიცემა ცოტათ თუ ბევრად ადგილობრივ საზოგადოებაზეა გადატანილი.

ვ. რცხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგი

ნიადაგისაგან წყლის შეშრობა. აიღეთ რომელიმე ნიადაგის მიწა, გააცხელეთ ცეცხლზე ღონივრად, აწონეთ შემდეგ და დაფხვნილი გაშალეთ თხლად თუნდა ოთახში სადმე. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს მიწა ისევ აწონეთ და ნახავთ რომ წონა მომატებია. ზედმეტი წონა მიწას მიეცა იმიტომ, რომ მან წყლის ორთქლი შეიკრიფა, წყალი შეიშრო ჰაერიდან.

ყველანაირი ნიადაგები ერთ ზომის წყალს არ იშრობენ. ყველაზე მეტს იშრობს ნეშომპალი, მერე თიხნარი და ყველაზე ნაკლებს ქვიშნარი.

კარგი შავი მიწა თავის წონის 10% წყალს აიშრობს, ქვიშნარი კი მხოლოდ 2%. აქედან შეიძლებოდა გვეფიქრა რომ შავ მიწაზე მცენარეები უფრო ნაკლებ შეიმჩნევენ გოლვას, ვიდრე ქვიშნარ ნიადაგებში, რომ შავი მიწა თავის წონის 10%-მდე შეშრობილ წყალს გაუნაწილებს მცენაარეებს გოლვის დროს, მაგრამ ასეთ მოლოდინს არ ამართლებს ცდა და დაკვირვება. პირიქით გოლვაში მცენარეები შავ ნოყიერ მიწაზე უფრო მალე ჭკნებიან, ვიდრე ვვიშნარ ნიადაგებზე. ეს პირველ შეხედვით დაუჯერებელი მოვლენა აიხსნება იმითი, რომ ნიადაგები **შეშრობილ** *) **წყალს არ უთმობენ** მცენარეებს. შავი მიწაც და ქვიშნარიც რომ განიცდიდნენ ერთნაირ გოლვას და ამ გოლვით ორთავეს მხოლოდ-ღა 10% წყალი შერჩეთ, შავი მიწა ამ წყლიდან ნატამალსაც აღარ დაუთმობს მცენარეებს, რადგან თვით იშრობს ამ ზომის წყალს, და ქვიშნარი კი ჯერ კიდევ ნახევარზე მეტს შერჩენილ წყლისას გაუნაწილებს მცენარეებს, რადგან თითონ მარტო 2% იშრობს.

ნიადაგის წყალი. ნიადაგში ზოგან ძალიან ღრმათ, ზოგან კი პატარა სიღრმეზე მუდამ არის მდინარე წყალი, მაგრამ მცენარეები ამ წყლით იშვიათ შემთხვევაში სარგებლობენ, რადგან რაც უნდა კაი **კაპილიარები** იყვნენ ნიადაგში, წყალი დაბლიდან მაღლა **ერთ** საჟენზე მეტს მაინც ვერ ამოვა ზღვით. დათესილი მცენარეების ფესვები კი მომეტებულ შემთხვევაში **ნახევარ** საჟენზე ქვევით არ ჩადიან ნახნავში.

მეორე მხრით, თუ საკმაოდ ღრმათ არ არის ნიადაგის წყალი, მაშინ იგი ყველა იმ ფოსო-ფუღუროებს ავსებს ნიადაგში, სადაც ჰაერი უნდა იმყოფებოდეს და არა წყალი, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში ეს ნიადაგი კი არა ჭაობი იქნება, რომელშიაც კულტურული მცენარეები ვერა ხარობენ.

რა მნიშვნელობა აქვს ტყეს ნიადაგის სინესტის შენახვაში. ყველაზე მეტად ნიადაგს ახმობს ქარი, თუ მეტადრე თბილიც არის და მშრალიც.

როცა მინდორს ტყე აფარია, მაშინ ქარი ისეთი ძალით ველარ უბერავს და

*) **შეშრობა** (გიკროსკოპია) ერთს ნიშნავს **გაჟენთვა** მეორეს. ნეშომპალი მეტ წყალს იშრობს, ვიდრე თიხნარი, ხოლო გაჟენთვაში თიხა მეტ წყალს შეიკრეფს, ვიდრე ნეშომპალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც ისეა აშრობს-ახმობს მოფარებულ მინდორს, რადგან თვით ქარი ნელდება, გრილდება და ნესტიანდება ტყის წყალობით.

დაჩრდილული ადგილი ტყეში მინდორთან შედარებით გვიან თბება გაზაფხულის მზის სხივებით. ზამთარში დადებული თოვლი აქ უფრო მძიმემძიმეთ დნება, ნიადაგს უჯდება, თოვლის წყალი ნაკლებათ მიდის ღვარებათ, ნაკლებათ ორთქლობს ჰაერში, ვიდრე ეს აორთქლება ტრიალ მინდორზე ხდება და სხვა.

ყველა ამ მიზეზებისა გამო ტყეში უფრო გრილა.

ამიტომ ცხელი ქარი, როცა მას ტყე ხვდება გზაში, ცოტა არ იყოს გრილდება, ნესტიანდება და მოფარებულ მინდორს ისე ვეღარ გამოგოლავს ხოლმე.

გარდა ამისა შემჩნეულია რომ სადაც ტყე არის, იქ ზაფხულობით წვიმაც ხშირად მოდის შედარებით. უფრო ხშირი წვიმა ტყის სიახლოვეს იმითი აიხსნება, რომ ტყის ასწვრივ მაღლა ჰაერი უფრო გრილია და როცა ამ ალაგს ღრუბლები მოხვდებიან, მეტად ცივდებიან, წყლის წვეთის ბუშთები იკუმშებიან, ერთმანეთს შეუერთდებიან, მძიმდებიან და აქვე ახლო-მახლო ჩამოიღვრებიან წვიმად.

სითბოს მნიშვნელობა ნიადაგისათვის

ერთად-ერთი წყარო, რომლიდანაც ნიადაგი ღებულობს სითბოს ეს მზის სითბოა. სხვადასხვა გვარი ნიადაგები, თუნდაც რომ ერთნაირ პირობებში იყვნენ, ერთნაირად მაინც არა თბებიან მზის სხივებით. ქვიშნარი, მაგალითად, უფრო მალე თბება თიხნარ ნიადაგზე. განსხვავება ნიადაგებს შორის ამ მხრივ სხვადასხვა მიზეზებზეა დამოკიდებული. ერთი ამ მიზეზთაგანი ნიადაგის ფერია. შემჩნეულია რომ შავი მიწა უფრო ხარბად ითვისებს მზის სხივებს, ვიდრე თეთრი, ყვითელი და სხვა ფერის ნიადაგები.

მეორე მიზეზი ნიადაგის სინესტეა. რაც უფრო ნესტიანია ნიადაგი, იმდენი იგი მძიმეთ თბება, ჯერ ერთი იმიტომ რომ თვით წყალია ძნელი გასათბობი შედარებით და მეორე—რომ ნესტიანი ადგილიდან უფრო მეტი წყალი ორთქლობს ჰაერში და აორთქლების დროს კი, როგორც ვიცით, სითბო ბლომად იხარჯება და ამისა გამო ზედაპირი, საიდანაც ეს აორთქლება ხდება, მეტად ცივდება.

ჩვენ ვიცით რომ ნიადაგი დღისით თბება, ღამით ცივდება. დღისით იგი მზის სხივებს ითვისებს, ღამე კი თვით ნიადაგიდან წარმოსდგებიან უჩინარი სითბოს სხივები. გამოკვლეულია რომ ის ნიადაგები, რომელნიც უფრო მეტად თბებიან მზეზე, მეტადაც ცივდებიან შემდეგ. ამ გათბობა-გაციებით ნიადაგებს უფრო მეტად განსხვავებული მდგომარეობა ეძლევათ. შავ მიწას და ქვიშნარს უფრო მეტად განუსხვავდებათ ტემპერატურა დღისით და ღამით, ვიდრე თიხნარებს ან ნესტიან ნიადაგებს, თუმცა საერთოდ რომ ვსთქვათ ზაფხულობით პირველგვარ ნიადაგებში უფრო მეტი სითბო დატრიალდება ხოლმე, ვიდრე მეორეგვარ ნიადაგებში, რადგან ზაფხულში დღე დიდია ღამეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგის გათბობა-გაციებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ ღრუბლებს და ჰაერის სინესტეს.

რაც უფრო ნესტიანია ჰაერი, იმდენი მეტად იჭერს იგი მზის სხივებს, მაგრამ ამავე დროს აღარც დედამიწის სითბოს უშვებს ზევით. ამით აიხსნება ის მოვლენა რომ რაც უფრო მეტად არის რომელიმე ადგილი დაშორებული ზღვიდან, რაც უფრო ხმელ ჰაერშია იგი, იმდენი მეტად განსხვავდება ხოლმე ტემპერატურა ამ ადგილისა დღისით და ღამით, დღისით მეტად ცხელა, ღამე მეტად ცივა.

ღრუბლებს ხომ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ ამ შემთხვევაში, ვიდრე ჰაერის ნესტს, უმეტესად გაზაფხულზე და შემოდგომაზე, როცა ნიადაგი დაძრება ხოლმე ზოგჯერ და მცენარეებიც ძრებიან. ხშირად მომხდარა რომ დიდ ტრიალ მინდორზე ნათელ ღამეში მთელი ნათესობა ამომძრალა და მხოლოდ ალაგ-ალაგ კოროძ-კოროძი ადგილები გადარჩენილან სიმძრალეს იმის გამოისობით რომ ზევიდან პატარ-პატარა ღრუბლები წამოფარვიან ამ ადგილებს და თბილად შეუნახავთ, როგორც შეენახება ხოლმე სითბო გამთბარ წყალს ქვაბში, როცა ხუფი აქვს ზემოდან გადაფარებული. ამგვარი მოვლენით ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც გაზაფხულის ცივ ღამეებში ვენახებსა და მინდვრის მოსავალს ცეცხლს უნთებენ და დიდ ბოლს აყენებენ რომ გადაეფაროს იგი ზემოდან ვენახს ან მოსავალს და გადაარჩინოს სიმძრალეს.

ნიადაგის გათბობა-გაციებაში მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ადგილის მდებარეობასაც. სწორეა მდებარეობა ადგილისა, თუ დაქანებული; დაცემულია, დაბალია, თუ მაღლობზე დევს; სამხრეთისაკენ იყურება, ყუდრო ადგილია, თუ არა და სხვა.

სამხრეთისაკენ დაქანებული ადგილი უფრო მეტად თბება მუდამ, ვიდრე სწორე ადგილი ან დასავლეთისაკენ, აღმოსავლეთასაკენ და ან ჩრდილოეთისაკენ მიქცეული. ხოლო ხეხილეების დასარგავად კი, რომელნიც სიცივეს ვერ იტანენ, ხშირად დასავლეთისაკენ დაქანებულ ადგილს რჩეობენ, რადგან მცენარეები ზოგჯერ იმიტომ კი არა ძრებიან რომ დიდი სიცივეები დგება, არამედ იმიტომ რომ თოვლს მალე აიღებს ხოლმე, ნიადაგს საფარი აღარ აქვს და ღამ-ღამობით ნიადაგი ძრება და აძრობს მცენარის ფესვებს.

ნიადაგის გათბობა-გაციებაზე ხან იმასაც დიდი გავლენა აქვს, ადგილი მაღლობია, თუ დაბლობი.

როდესაც ზამთრის კაშკაშ ღამეში ძრიელ ცივდება დედამიწა, ცივდება აგრეთვე ის ჰაერიც, რომელიც მიწის პირას არის. მაღლობი ადგილიდან გაციებული აჰერი, როგორც მძიმე, ჩადის დაბლობში, სადაც ამგვარად უფრო სქელი შრე კეთდება ცივი ჰაერისა. ვინც ნატარია იმან კარგად იცის, რომ ჩავარდნილ ღრმა ღელე ადგილებში უფრო ცივა ხოლმე, ვიდრე ბექურებზე. ხოლო ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ზოგჯერ სიცივეს დიდი სუსხი ეძლევა არა იმიტომ რომ სითბოს უჩინარ სხივებს ააქვთ ბლომად ეს სითბო დედამიწიდან მაღლა, არამედ იმიტომ რომ ამ ადგილზე ცივი ქარი იცის ხშირად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დაბლობებს ნაკლებად ხვდება. ვისაც თვალყური უდევნებია, იმას ალბად არა ერთხელ შეუმჩნევია, რომ დაბლობი ადგილები ღამით დაუთრთვილავს და მაღლობები არა, ზოგან კისერებზე გაუგდია თრთვილი და ღელეებში არა. პირველი მომხდარა იქ, საცა ღამე უქარო იყო, მეორე—საცა ქარი ქროდა

ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე არა ნაკლები მნიშვნელობა თოვლსა აქვს ნიადაგის სითბოს შენახვაში.

ცივ ღამეში, როდესაც მაგალითად ტერმომეტრი—20° გვიჩვენებს ჰაერში, ტემპერატურა ნიადაგისა, რომელსაც ზემოდან ორი ვერშოკის სისქეზე თოვლი აქვს წახურული, ხშირად—10°-ს არ აღემატება ხოლმე. რაც უფრო სქლად იდება თოვლი, იმდენი, ცხადია, უფრო მეტად შეენახება სითბო ნიადაგს.

ხოლო მცენარეებისათვის კი ყოველთვის მარგებელი არ არის დიდი თოვლი.

შემოდგომაზე დათესილ მცენარეს სიცივისა არ ეშინიან, თუ ძალზე არ აცივდა. თოვლი მოსავალს მშვენივრად იფარავს სიცივისაგან. მაგრამ თუ ნიადაგი ჯერ ცოტათი არ მოყინა და ისე არ დათოვლა, არამედ მომხვალი მიწა დაიფარა ხანგრძლივ დიდი თოვლით, შემოდგომის ნათესობა ადვილად შეიძლება შიგ ამოლპეს და მოსავალი მოსცდეს.

ნიადაგის ჰაერი

იმის გარდა რომ უჰაეროთ ნიადაგში შეუძლებელი იქნებოდა მომხდარიყო მეტი წილი იმ ქიმიური მოვლენებისა, რომელნიც შიგ მყოფ ორგანიულ ნივთიერებათა გახრწნა-დაშლაში წარმოსდეგებიან, ჰაერი ნიადაგში საჭიროა აგრედვე მცენარეების ფესვების სუნთქვისათვისაც.

შედგენილობა ნიადაგის ჰაერისა ჩვეულებრივ ჰაერთან შედარებით, რომელსაც ჩვენა ვსუნთქავთ, იმით განსხვავდება რომ პირველში ჰაერგვარი ნახშირმჟავე უფრო ბლომათ არის, ვიდრე მეორეში და მასთან მით უმეტესია, რამდენიც ბლომად ურევია ნიადაგს ორგანიული ნივთიერებანი, რომელნიც შიგ იხრწნებიან-იშლებიან. თუმცა მცენარე ნახშირ-მჟავეს როგორც საკვებავს ატმოსფერიდან იღებს და ნიადაგში მყოფ ნახშირ-მჟავეს ამისათვის არ საჭიროებს, მაგრამ მაინც ამ ნახშირ-მჟავის მეტ-ნაკლებობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნიადაგის ნახშირ-მჟავე ატმოსფერისას ემატება და იგი იქ ულევად არის ხოლმე. ასეთივე დიდი მნიშვნელობა ეძლევა მჟავბადასაც ნიადაგში, როგორც მცენარის ფესვების სუნთქვისათვის საჭირო მასალას.

თუ მივიღებთ მხედველობაში: 1) როგორი ენერგიით ხდება გაფხვიერებულ ნიადაგში ყოველი ქიმიური მოვლენა, 2) როგორ ადვილად გადიგამოდიან მცენარის ფესვები ამგვარ ნიადაგში და 3) რა სიადვილით ჩადის ზემოდან წყალი ამგვარ ნიადაგში და ერთხელ ჩასული როგორ დიდხანს ენახება მცენარეებს, — აშკარად მივხვდებით იმ დიად მნიშვნელობას, რომელიც ნიადაგის წესიერ დამუშავებას აქვს მოსავლიანობაში.

ვ. გულბაათიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი სამესხეთოდან

ბ-ნო რედაქტორო!

დიდი სიამოვნებით წავიკითხე „მოსავალი“-ს მე-8, 9... №№-ბი, სადაც, შეცნიერების ყოველ დარგიდან ქართულ ტერმინების შეგროვებას აცხადებთ ლექსიკონის შესადგენად; საქმესაც უკვე შესდგომიხართ და სანიმუშო ტერმინებიც მოგითავსებიათ ჯერ მცენარეთა დარგიდან.

ვინ არ იცის, საქმე ფრიად სასარგებლოა და მართლაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ლიტერატურას.

საზოგადოდ ლექსიკონის შედგენა თითქმის აუტანელ შრომას და ძევაკვლევას თხოულობს. უფრო ძნელია მისი ხშირად გამოცემა, მეტადრე ქართულად, იმ დიდი ხარჯის გამო, რომელსაც ამგვარი გამოცემა თხოულობს.

ამისათვის საჭიროა, რომ ლექსიკონი თავიდანვე გონივრული და დაკვირვებული შრომით შემუშავდეს, რომ შეცდომები არ შეგვეპაროს შიგ, რაოდენაც ოცი წლობით ვეღარ შევიძლებთ დაბეჭდვას.

თქვენი რედაქციის გამოცხადებით ვისაც მოეპოება შეგროვილი ტერმინები, სთხოვთ მათ მოგაწოდონ, მე კი წინაალმდეგი ვარ ასეთი ზეპირად შეგროვილი ტერმინების მოწოდებაზე, მეტადრე მცენარეთა დარგიდან, რადგან ადვილად შესაძლებელია, რომ ნახევარი შრომა შეცდომა იყოს. მე იმ აზრისა ვარ რომ ჯერ ერთ პროვინციაში შევაგროვოთ თვით მცენარეები, ჩავაწყოთ საგანგებო დიდ რვეულში, სახელწოდებანი გვერდზე მიუწეროთ, განვამარტოთ აქვე თუ რა თვისებისა არიან იგი მცენარენი: სამკურნალო, საჭმელად ხმარებული, შხამიანი, თუ უბრალო, — შემდეგ ეს კოლექცია მეორე პროვინციის მცენარეებს შევადაროთ. თუ მეორეში სხვა რომელიმე სახელს უწოდებენ, ისიც დავნიშნოთ. ასევე განიმეორება მესამეში, მეოთხეში და ამნაირად შედგენილ ლექსიკონში შეცდომები აღარ შეგვეპარება.

აი დასამტკიცებელი საბუთები ზეპირად შეგროვილ ტერმინებისა, რომ შეცდომების შეპარება აუცილებელია: მაგალითად ჯორიძუა, მოლოქა და ქარქვეტი, იხ. „მოსავალი“-ს № 9, რომლებიც თქვენ უბრალო ბალახების ცხრილში მოგითავსებიათ, იგივე ბალახები სამესხეთოში უბრალო ბალახებად არ ითვლებიან. ჯორიძუა ჭლექიანებისათვის სახმარებელი წამალია და მის ნახარშ წყალში დაქარიანებულთ აბანებენ ხოლმე, მაშასადამე ჯორიძუა სამკურნალო ბალახია და არა უბრალო; მალოქას სამესხეთოში ჰქვიან კორიკოტინა და იგი საჭმელად ხმარებულია, მაშასადამე მალოქა გინა კორკოტინა მხალეული ბალახი ყოფილა და არა უბრალო.

ქარქვეტას სამესხეთოში წნილად სდებენ და მხალადაც ხმარობენ, მაშასადამე ესეც საჭმელად ხმარებული არის და არა უბრალო ბალახი.

„მოსავალ“-შივე იმავე №-ში ვკითხულობთ უბრალო ბალახების ჯგუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში „ღოლო“-ს. ამის მინაგვარი სახელით სამეხეთოში არის ბალახი, „ღვალო“, არ ვიცით, „ღოლო“ და „ღვალო“. ერთი ბალახის წოდებაა, თუ სხვადასხვა ბალახისა. ამას გავიგებთ ხოლო მაშინ, როდესაც კოლექციაში მოთავსებულ „ღოლოს“, სამეხეთოში „ღვალოს“ შევადარებთ.

გთხოვთ უმორჩილესად, ბ-ნო რედაქტორო, ეს წერილი დაბეჭდო „მოსავალ“-ში და მასთანავე თქვენი აზრიც გამოსთქვათ. თუ შეუწყნარებელი დარჩება ეს ჩემი აზრი, გთხოვთ ისიც დაუმატოთ და იმ შემთხვევაში მე მოგაწვდით ჩემ მიერ შეგროვილ მცენარეების სახელებსაც და შეუერთეთ ლექსიკონს.

კ. გვარამაძე

პასუხი. — შეგროვილ სახელწოდებებს იმიტომ ვბეჭდავთ ჟურნალში სათაურით: **„მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი“**, რომ რაც გინდა ძალიან ვიფრთხილოთ, მაინც დაბეჭდილს შემდეგში შესწორება დასჭირდება და ყოველი ცნობა შეცდომის შესასწორებლად მოწოდებულიც **მასალა** იქნება.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სახელწოდებული მცენარეების **გერბარი** შემდგარიყო, მაგრამ ვის დავავალოთ ეს საქმე?

რედაქცია თხოულობს მხოლოდ იმას, რაც ადვილი შესასრულებელია: ვისაც აქვს შეგროვილი ქართული სახელწოდებანი, მეცნიერების რომელი დარგიდანაც გინდა იყოს, გამოუგზავნოს რედაქციას გამოსაყენებლად.

ამა თუ იმ ბალახის საჭმელად ან წამლად ხმარება ჩვენი ქვეყნის რომელსამე კუთხეში ჯერ კიდევ საკმარისი საბუთი არ არის მცენარის ამა თუ იმ დარგში მოგცევისა.

რედაქცია.

საყურადღებო ცნობები

განავთიანებული ჭურჭლის გაწმენდა. განავთიანებული ჭურჭელის გასაწმენდათ, რომ ნავთის სუნი აღარ ჰქონდეს, ასე უნდა მოვიქცეთ: ავიღებთ წყალ-დაუსხმელ კირს

1 ბოთლზე. . . . . 1 მისხალს
ან
1 ბოჩკაზე . . . . 1 გირვანქას

ჩავასხამთ განავთიანებულ ჭურჭელში წყალს, ჩავყრით შიგ კირს, შევაჭანჭყარებთ კარგად, დავტოვებთ ასე რამდენიმე ხანს, მხოლოდ დრო გამოშვებით კიდევ უნდა შევაჭანჭყაროთხოლმე, მერე წამოვღვრით კირწყალს და სუფთა წყლით გამოვრეცხავთ ჭურჭელს. თუ განავთიანებული ჭურჭელი ხისაა, კირწყალი შედარებით მეტ ხანს უნდა დარჩეს შიგ, შუშის ჭურჭელი კი მალე ჰკარგავს ყოველივე სუნსა და გემოს ნავთისას.

ტყავის გაწმენდა. სულ უბრალო საშუალება ტყავის გასაწმენდი ასეთია: შავი ტყავის გასაწმენდათ აიღებენ კვერცხის ცილას გასთქვეფენ კარგად, მიუმატებენ ცოტა საქას, გადასწმენდენ ტყავზე ჯერ მტვერს და მერე ამ წ.სასმელს წაუსვამენ და პატარა მაუდით გახეხავენ. ტყავი ყველგან ერთნაირად აბჭყვრიალდება შავად. თუ ფერადია ტყავი, ათქვეფილი ცილა უნდა უსაკოთ წაესვას და ისევე გაიხეხოს-გაიწმინდოს.

დაჟანგებული დანა-ჩანგლის გაწმენდა. დაჟანგებული დანა-ჩანგლის ან სხვა რამ რკინეულობის ან ფოლადეულობის გაწმენდა ასე შეიძლება მოვახერხოთ აღვილად: ჩავაწყობთ რკინეულობას ქლორიან კალას ხსნილში (აფთიაქის მაღაზიაში იშოვება) 6—12 საათით, მერე ამოვიღებთ იქიდან და ან ცარცით გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეხამთ-გავამშრალებთ, ან და, უფრო უკეთესი, ნაშატირის სპირტში ამოვრეცხავთ.

ქლორიანი კალა რკინეულობას აფუჭებს. აამიტომ როცა დანა-ჩანგალს ხსნილიდან ამოვლაგებთ თუ ცარცს ვიხმართ უნდა კარგა-გავხეხოთ, რომ ქლორიანი კალა სრულებით არ შეჰყვეს.

მელნის ლაქის ამოყვანა ტილოდან. გახსნიან ცხელ წყალში:

20 გრამს ღვინის ხაშურს (**винокам. соль**)
10 „ ალატუნს (სახამებელს წაგავს)

და ამ ხსნილში ამორეცხავენ ტილოს, სადაც დალაქავებულია. ლაქა თანდათან შორდება ტილოს და ტილო კი არცა ცვდება და არც სხვანაირად ფუჭდება სრულებით.

განცხადებანი

მთელ კავკასიაში პირველი სპეციალური **ელექტრო-მეხანიკური** დაწესებულება

ა. დიუმა

ტფილისი, მიხაილოვის ქუჩა, № 140, რომელიც ამზადებს მეფუტკრეობაში საჭირო ყველანაირ იარაღებსა და ავეჯეულობას.

დედა-ფუტკრის მაგრდა ხელოვნურად.

წიგნები და სახელმძღვანელოები მეფუტკრეობის შესახებ.

აქვე ყიდულობენ და ჰყიდიან **თაფლს და წმინდა სანთელს.**

პრეისკურანტი უფასოთ.

სახელმწიფო ქონებათა და მიწათ მოქმედების სამინისტროს კომისიონერი

მ. ე. ფრიდლანოვი ტფილისში.

აპარატები და ნამლები გალ-ვენახების შესანამლავად

სუფთა შაბიამანი ცნობილი მაკლესფილდისა და სხვა ფირმებისა.

ბოგირდი მარსელისა და პირდაპირ იტალიიდან გამოწერილი სხვადასხვა ფირმებისა და ჩვენი საკუთარი ფირმისა.

ნამდვილი შვეინფურტის მწვანე ნამალი ბლენდელის ფაბრიკისა ლონდონში.

კულვერიზატორები (შესასხურებელი აპარატები) მონსერვიესი, ვერმორელისა და სხვა ფაბრიკებისა.

მზად გაკეთებული პარაშოკი ვაზებზე და ხეხილებზე შესასხურებლად სოკოებისა და მწერ-ჭია-მატლების წინააღმდეგ **„ეკლერი“** სხვადასხვა ფაბრიკებისა.

ყურძნის საწურავები (პრესები) მაბილიესი, მარმონიესი და სხვა ფაბრიკებისა.

ღვინისა და სპირტის ამოსაღები ნასოსები ანუ პომპები გვილებოსი.

ღვინის გასაშინჯი აპარატები სალერონ-ჯურდენისა.

ვაზების შესაყელი და ასახვევი რაფი.

აზბესტის ფილტრები მალოვიჩის, რუეტის და სხვა ფაბრიკებისა.

აცეტილენის ფარნები მაღალ კოშკებზე ასანთები მედუზასი.

კანტორა კისრულობს სხვა ყოველი გვარი იარაღებისა და მაშინების გამოწერასაც, რომელნიც კი საჭირონი იქნებიან მევენახე-მეღვინეებისათვის, მებაღეებისათვის და ყველა სხვა მეურნეთათვის.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ მსურველნი მიმართავენ **მ. ე. ფრიდლანოვს ტფილისში.**

კატალოგები უფასოდ.

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**